ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის
სხდომის ოქმი N 48

19 მარტი, 2021 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
თ. ნიბლოშვილი, ა. ლაშხი, მ. დარჩია, ე. კუხიანიძე, გ. გოცირიძე, ქ. ჯოხაძე, ვ. ძნელაძე, ვ. ოთარაშვილი, ბ. ფირცხელიანი

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:
1. ლევან მიქავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. ნინო სულაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თინათინ ნიბლოშვილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე)

სხდომის დღის წესრიგი:
1. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ (№12-03210576-03; 26.02.2021) საკითხის განხილვა.

   მომხსენებელი: ბატონი ლევან მიქავა
   თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

   თანამომხსენებლი: ქალბატონი ნინო სულაძე
   თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

სხდომის თავმჯდომარე ქალბატონი თინათინ ნიბლოშვილი მიესალმა სხდომის მონაწილეებს, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წარადგინა დღის წესრიგი, რომელიც განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა.

მოისმინეს:
კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მიმდინარე სხდომა გაერთიანებული იყო საკრებულოს სარევიზიო კომისიასთან ერთად, რომელზეც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულებას განიხილავენ, რასაც დეტალურად წარმოადგენს მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები და სიტყვა გადასცა ბატონ ლევან მიქავას.

საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ლევან ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ პანდემიის, კოვიდ-19 ის პირობებში, დედაქალაქის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელი კარგია.

კომისიის წევრმა, ქალბატონმა მარიკა დარჩიამ დაინტერესდა, თუ რამდენად დიდია სხვაობა თბილისის 2020 წლის ბიუჯეტის გეგმასა და ფაქტობრივ შესრულებას შორის. პასუხად ბატონმა ლევან მიქავამ განუმარტა, რომ გასული წელი რთული იყო, თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი 1 121 000 000 ლარს შეადგენდა. ივლისის თვეში იგი 137 მილიონი ლარით შემცირდა, რაც გამოწვეული იყო პანდემიური მდგომარეობის გამო. მოგვიანებით საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ დედაქალაქის მერიას გამოუყო 30 მილიონი ლარი, რათა მისი შემოსავლები დაებალანსებინა. აღნიშნული სირთულეების მიუხედავად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დახმარების შედეგად, თბილისის მერიის შემოსავლების ნაწილი 103%-ით შესრულდა, გადასახადების ნაწილი კი - 96%-ით.

ბატონმა ლევან ჯაფარიძემ განმარტა, რომ როგორც გამგებელი უშუალოდ მონაწილეობდა თბილისის 2020 წლის ბიუჯეტის დაგეგმარებაში, რა დროსაც გამოიკვეთა, რომ ძალიან დიდი სამუშაოს გაწევა იყო საჭირო. თუმცა, რთული წლის მიუხედავად, შედეგები მაინც მისაღებია.
ბატონი ლევან მიქავას განმარტებით, 2020 წლის ბიჯეტის შესრულებამ 96,3% შეადგინა. მერიის წარმომადგენელმა ასევე, ყურადღება გაამახვილა ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების მაჩვენებელზე.
სიტყვა გადაეცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელს, ქალბატონ ნინო სულაძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ 2020 წელი თბილისის მერიისთვის, ისევე როგორც, განათლებისა და კულტურის სფეროში დასაქმებული ადამიანებისთვის ძალიან მძიმე იყო. ამიტომ, კულტურის, განათლების სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურმა დასახა კონკრეტული გეგმა, რომ განეხორციელებინა არსებული საბიუჯეტო პროგრამების ადაპტირება პანდემიური გარემოებებისადმი. შედეგად, ბევრი ღონისძება, რომელიც ადრე ფიზიკური დასწრებით ხორციელდებოდა, გადატანილ იქნა დისტანციურ სივრცეში და გამოფენები და კონცერტები ამგვარი ფორმატით ჩატარდა. აღნიშნულმა საშუალება მისცა კულტურის, განათლების სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს ერთის მხრივ, შეენარჩუნებინა მუნიციპალური პროგრამების უწყვეტობა და მეორეს მხრივ, დახმარებოდა ხელოვანებს და დარგის წარმომადგენლებს.

ქალბატონი ნინო სულაძის თქმით, კულტურის სფეროში 250 პროექტი განხორციელდა დისტანციურად და აგრეთვე გაგრძელდა კულტურის ობიექტების სარემონტო სამუშაოები, მათ შორის თბილისის მუზეუმების გაერთიანების მიერ. მნიშვნელოვანი იყო ილია ჭავჭავაძის სახელობის მუზეუმის სარემონტო სამშაოების დასრულება და მერაბ კოსტავას მუზეუმის შენობის ნაწილის გამოსყიდვა. აგრეთვე, ის რომ ხელოვნების სკოლების პედაგოგები, რომლებიც პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების შედეგად ფაქტიურად უმუშევრად დარჩნენ, უწყვეტად იღებდნენ ხელფასს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისგან, რათ ისინი არ დარჩენილიყვნენ შემოსავლების გარეშე.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თბილისის მუნიციპალურმა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მაქსიმალურად შეძლეს ადაპტირება პანდემიურ

გამოწვევებთან და დაიწყო დისტანციური სწავლება. ამასთან გრძელდებოდა პროექტების დაფინანსება. კერძოდ, შემოქმედებითი თბილისის საბიუჯეტო პროგრამის ფარგლებში, 50-ზე მეტი პროექტი დაფინანსდა. გაგრძელდა გალაკტიონ ტაბიძის, ილია ჭავჭავაძისა და მერაბ კოსტავას მუზეუმების ხელშეწყობა, თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების თანამშრომლებს არათუ შეუნარჩუნდათ ანაზღაურება, არამედ გაეზარდათ სამსახურებრივი სარგო. აუცილებლად აღსანიშნავი მაგალითია, მუზეუმების გაერთიანების საქმიანიობაც, რომლებიც მართავდნენ ონლაინ გამოფენებს; თბილისის მერიაში გაგრძელდა „ჩემი ადვოკატი"-ს უფასო მომსახურებაც; დასრულდა ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურეათების გალერეის რეაბილიტაცია და გამოიფინა პირველი ესკიზები, იმ პროექტებისა, რომლებსაც მერია პერიოდულად წარადგენს კონკურსებზე. ასევე, უწყვეტად მიმდინარეობს თბილისში რეგისტრირებული სტუდენტების დაფინანსება მერიის მიერ და როგორც ცნობილია, შესაბამის ნორმატიულ აქტში ახლახანს განხროციელებული ცვლილების შედეგად, უკვე დაახლოებით 2000-მა სტუდენტმა მიმართა მერიას სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებით.

ქალბატონი თინათინ ნიბლოშვილის თქმით, თბილისის 2020 წლის ბიუჯეტი განათლების ნაწილში 94,6 %-ით, კულტურის მიმართულებით კი 88,6%-ით არის ათვისებული. მომავალში, შესაძლებლობის ფარგლებში, პანდემიური მდგომარეობის გავალისწინებით, მუნიციპალიტეტი კვლავ განაგრძობს კულტურისა და განათლების პროგრამათა განხორციელებს.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:
ლევან მიქავამ, ლევან ჯაფარიძემ, მარიკა დარჩიამ, ნინო სულაძემ, თინათინ ნიბლოშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ" წარმოდგენილი ინფორმაციის დადებითად შეფასებისა და მისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის შესახებ.

მომხრე -------- 9
წინააღმდეგი -------- 0
თავი შეიკავა --------- 0

გადაწყვიტეს ერთხმად: კომისია დადებითად აფასებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ" წარმოდგენილ ინფორმაციას, არ აქვს შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს საკითხის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:
თინათინ ნიბლოშვილი